#4 დანართი

## პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესები

1. **რეგისტრატორი** უფლებამოსილია **ადმინისტრატორისთვის** და **ადმინისტრატორის** სახელით დაამუშაოს **დომენურ სახელებთან** დაკავშირებული პერსონალური მონაცემები **რეგისტრატორის ხელშეკრულების** და **დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების** საფუძველზე, მხოლოდ იმ მიზნებისთვის და იმ პირობებით, როგორც ეს მოცემულია **დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში** და **რეგისტრატორის ხელშეკრულებაში**. წინამდებარე დანართი წარმოადგენს **რეგისტრატორის ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს.
2. **რეგისტრატორი** თანხმობას აცხადებს და ვალდებულებას იღებს, რომ დაიცავს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობას და გამოიყენებს ასეთ პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ რეგისტრატორის ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად.
3. **რეგისტრატორი** უფლებამოსილია გადასცეს ქვეკონტრაქტორებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების უფლებამოსილება მხოლოდ **ადმინისტრატორის** წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.
4. **რეგისტრატორი** ვალდებულია უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების შეგროვების და დამუშავების პროცედურის შესაბამისობა მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და ასახოს ასეთი პროცედურა **რეგისტრატორის** შიდა რეგულაციებში.
5. **რეგისტრატორი** ვალდებულია მოთხოვნისთანავე გადასცეს **ადმინისტრატორს** მის ხელთ არსებული პერსონალური ინფორმაცია.
6. **რეგისტრატორი** ვალდებულია გამოიყენოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცულობას. ამ მიზნებისთვის **რეგისტრატორი** ვალდებულებას იღებს, რომ:
   - 6.1 დაავალდებულებს მის მიერ დასაქმებული პერსონალს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ არსებული მოთხოვნების და შესაბამისი პროცედურების შესრულებას;
   - 6.2 პერსონალური მონაცემების შესაგროვებლად და დასამუშავებლად გამოიყენებს ისეთ ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან;
   - 6.3 უზრუნველყოფს პრევენციული ღონისძიებების გატარებას პერსონალური ინფორმაციის დაზიანების, მესამე პირებისგან არაავტორიზებული წვდომისგან დასაცავად.

7. **ადმინისტრატორი** უფლებამოსილია მონიტორინგი გაუწიოს რეგისტრატორის მიერ **რეგისტრატორის ხელშეკრულებით**, **დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით** და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების და დაცვის პირობების შესრულებას და ამ მიზნით შეამოწმოს **რეგისტრატორის** მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესი და წესები.
8. **რეგისტრატორის ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში **რეგისტრატორი** ვალდებულია შეწყვიტოს **ადმინისტრატორის** სახელით პერსონალური მონაცემების დამუშავება, სრულად გადასცეს **ადმინისტრატორს** მის ხელთ არსებული პერსონალური მოანცემები და წაშალოს ასეთი მონაცემები საკუთარი სისტემიდან და მონაცემთა ბაზიდან.

მხარეთა ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| **რეგისტრატორის** სახელით | **ადმინისტრატორის** სახელით |
| ______________________ | ______________________ |